



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე გ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 **თორნიკე შერმადინი**

„09“ „09“ 2014 წელი

ეგზ N2

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს აპარატი

2013 წლის 31 დეკემბერით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *N 22/00*

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	5
სხვა საკითხების აბზაცი	6
ფორმა N1 - ბალანსი	9
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	10
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	11
ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	11
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	12
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	13
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.....	14

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისი თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

აპარატის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონება

მინისტრის ბრძანების¹ საფუძველზე, ქ. ქუთაისის მერიაზე ერთი წლის ვადით უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემული ავტომანქანა ტოიოტა ლენდკრუიზერი ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 95,662 ლარი, ირიცხება სამინისტროს ბალანსზე.²

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

აქტივების ნარჩენი ღირებულების კორექტირების მიზნით (წინა პერიოდში არასწორად დარიცხული ცვეთის გამო), სხვა მანქანა დანადგარებსა და ინვენტარში შემავალ 62 ერთეულ აქტივზე (ისტორიული ღირებულებით 54,451 ლარი) საანგარიშო პერიოდში ცვეთის ხარჯი გაზრდილია 2,891 ლარით (ცვეთის დადგენილ ნორმებთან მიმართებაში).

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს სამინისტროს აპარატის ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს.

¹ 2013 წლის 22 ნოემბრის N124/ო ბრძანება

² „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას, სარგებლობის უფლების გამცემი პირი ბალანსიდან იხსნის გადაცემულ სახელმწიფო ქონებას, ხოლო სარგებლობის უფლებით მიმღებ პირს ბალანსზე აყვას აღნიშნული ქონება

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი უტყუარად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ცენტრალური აპარატის (ორგანიზაციული კოდი 25 01 01) მიერ, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

აპარატის მიერ 2013 წლის 1 თებერვალს გამოცხადებულია ტენდერი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე, სავარაუდო ღირებულებით 9,000 ლარი. ტენდერის პროცესში მიმდინარე ვაჭრობის შედეგად, 2013 წლის 7 თებერვალს დაფიქსირებული შესყიდვის მინიმალური ღირებულება შეადგენდა 6,000 ლარს. ტენდერი შეწყვეტილია და მიღებულია გადაწყვეტილება, აღნიშნული მომსახურების პრეისკურანტის საფუძველზე შესყიდვის თაობაზე (გამარტივებული ელექტრონული ტენდერით). ოქმის მიხედვით ასეთი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა საბიუჯეტო სახსრების ოპტიმიზაციას. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით³, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შეწყვიტოს ტენდერი თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ტენდერის მახასიათებლებიდან გამომდინარე კი, მისი შეწყვეტა ფაქტობრივად არ ეფუძნებოდა, აპარატისთვის წინასწარ გაუთვალისწინებელ და მისგან დამოუკიდებელ მიზეზებს.

³ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გარდა, სამინისტროს აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

სხვა საკითხების აბზაცი

მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და საქართველოს პრემიერ - მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. სამინისტროს კომპეტენცია დგინდება კანონით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სამინისტროს უფლება არა აქვს გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მის კომპეტენციას განეკუთვნება. სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება: რეგიონული განვითარების პოლიტიკა, საქართველოში წყლით უზრუნველყოფის განვითარების, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფა, მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებები

2013 წლის პერიოდის საწვავის ფაქტიურ ხარჯად, ბუღალტრული მონაცემებით აღიარებულია 210,794 ლარი. სხვაობა ბუღალტრულად ასახულ და რეალურად გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს (227,443) შორის შეადგენს 16,649 ლარს. აღნიშნული წარმოადგენს დეკემბრის თვეში გახარჯული საწვავის ღირებულებას, რომლის გადახდაზე გაფორმებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მომწოდებლის მიერ წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდგომ (2014 წლის 6 იანვარს).

მივლინებები

2013 წლის 7-11 ოქტომბერს ქ. ვარშავაში განხორციელებულ მივლინებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ურთიერთშეუსაბამო დოკუმენტებიდან გამომდინარე, ვერ ირკვევა სადღეღამისო ნორმის ანაზღაურება სამინისტროს უნდა განხორციელებინა ნორმის მთლიანი ოდენობით თუ ნორმის მხოლოდ 30%-ით

(მივლინებულია 16 თანამშრომელი).⁴ კერძოდ, მასპინძელი მხარის მიერ ოფიციალურად გამოგზავნილი მოწვევის შესაბამისად, ყველა ხარჯს (დაზღვევის გარდა) ანაზღაურებდა მომწვევი მხარე. ამასთან, წარმოდგენილია მომწვევი მხარის მიერ გამოგზავნილი დღის განრიგი, რომელშიც მითითებული არ არის საღამოს ვახშამი. სამივლინებო ხარჯების დაანგარიშება და თანხების ანაზღაურება განხორციელებულია, დღის განრიგის საფუძველზე. ანუ, სრულად არის ანაზღაურებული სადღელამისო ნორმა. სხვაობა მთლიან ანაზღაურებულ თანხასა და კანონმდებლობით დადგენილ სადღელამისო ნორმის 30% ზღვარს შორის შეადგენს 3,420 ლარს.

შრომის ანაზღაურება

საანგარიშო პერიოდში აპარატის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1,760,365 ლარს, პრემია - 772,881 ლარი, დანამატი - 408,313 ლარი. დანამატებთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ მთლიანი თანხიდან 12,263 ლარი წარმოადგენს საკლასო ჩინისთვის დაწესებულ დანამატს (ამ თანხიდან 3,010 ლარი დაბრუნებულია უკან, როგორც არასწორად გაცემული დანამატი)⁵, 43,350 ლარი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 15 მარტის N53 ბრძანებით მინისტრისთვის დაწესებულ დანამატს, 352,700 ლარი კი, მინისტრის 2013 წლის 13 აგვისტოს N101/ო ბრძანების საფუძველზე, ზოგიერთ მოხელეზე განსაკუთრებით საპასუხიშემგებლო ფუნქციური დატვირთვისთვის დაწესებულ დანამატებს.

ინფორმაცია თანამშრომლებზე გაცემული პრემიების შესახებ

თანამდებობა	საპრემიო თანხა
მინისტრი	-
მინისტრის მოადგილეები	47,775
მინისტრის მრჩეველები	71,560
დეპარტამენტის უფროსები	96,720
დანარჩენი თანამშრომლები	556,826
სულ	772,881

⁴ მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-11 მუხლის შესაბამისად, „თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით, მოსამსახურეს უნაზღაურდება სადღელამისო ნორმის მხოლოდ 30%“.

⁵ 14.01.2014წ. საგადახდო დავალება

ინფორმაცია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დანამატების გაცემის თაობაზე

თანამდებობა	ივლისი		აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი	
	ერთ	თანხა	ერთ	თანხა	ერთ	თანხა	ერთ	თანხა	ერთ	თანხა	ერთ	თანხა
მინისტრის პირველი მოადგილე	1	2,950	1	2,950	1	2,950	1	2,950	1	2,950	1	2,950
მინისტრის მოადგილე	1	2,720	1	2,720	1	2,720	1	2,720	1	2,720	2	5,440
დეპარტამენტის უფროსი	8	17,200	8	17,200	8	17,200	8	17,200	8	17,200	7	15,050
სამსახურის უფროსი	3	5,670	3	5,670	3	5,670	3	5,670	3	5,670	3	5,670
სამსახურის უფროსის მოადგილე	0	-	3	4,410	3	4,410	3	4,410	3	4,410	3	4,410
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	0	-	5	8,500	7	11,900	7	11,900	7	11,900	7	11,900
სამმართველოს უფროსი	0	-	9	14,400	9	14,400	10	16,000	10	16,000	9	14,400
თანაშემწე	3	4,590	3	4,590	3	4,590	3	4,590	3	4,590	3	4,590
სულ:	16	33,130	33	60,440	35	63,840	36	65,440	36	65,440	35	64,410

აუდიტორების ხელმოწერა:

მამუკა გოგოხია (ჯგუფის უფროსი)

თენგიზ თევდორაძე

თეონა ავალიანი

ნინო ქაშიბაძე

ანა ბახტაძე

Handwritten signatures and date:
 09.09.2014
 აუდიტორები

ფორმა N1 - ბალანსი

აქტივები	ნაშთი წლის დასაწყისში	ნაშთი წლის ბოლოს
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	84,820
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	-	828
აქტივების/მომსახურების მიწოდებით	-	
სხვა საგადასახადო აქტივი	-	752
მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	19,767
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	60,463
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	-	3,010
არაფინანსური აქტივები	12,633,901	11,578,597
სხვა მატერიალური მარაგები	64,159	62,962
შენობა-ნაგებობები	10,052,177	9,481,989
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,078,411	1,335,830
სხვა ძირითადი აქტივები	21,627	26,452
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	17,405	28,977
არაწარმოებული აქტივები	1,400,122	642,387
ბალანსი	12,633,901	11,663,417
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები	744	3,784
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	744	3,133
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	-	582
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	-	54
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	-	15
კაპიტალი	12,633,157	11,659,633
წმინდა ღირებულება	12,633,157	11,659,633
ბალანსი	12,633,901	11,663,417
საცნობარო მუხლები	232,788	344,389
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	234	22,134
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები		49,228
ვადაგადაცილებული დავალიანებები	744	3,783
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	231,810	269,244

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	-	4,269,255	4,249,754	4,160,994	4,160,994	4,498,726	337,732
შრომის ანაზღაურება	-	2,941,655	2,941,613	2,941,558	2,941,558	2,937,850	(3,709)
თანამდებობრივი სარგო	-	-	1,760,419	1,760,365	1,760,365	1,760,419	54
პრემია	-	-	772,882	772,881	772,881	772,881	-
დანამატი	-	-	408,313	408,313	408,313	404,550	(3,763)
საქონელი და მომსახურება	-	1,256,755	1,237,672	1,149,152	1,149,152	1,129,033	(20,119)
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	164,689	159,362	159,362	159,362	-
მივლინებები	-	-	173,433	161,391	161,391	161,406	15
ოფისის ხარჯები	-	-	438,883	411,749	411,749	379,696	(32,053)
წამომადგენლობითი ხარჯები	-	-	52,672	51,730	51,730	54,993	3,262
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული არგები	-	-	2,631	2,631	2,631	2,631	-
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	346,349	303,990	303,990	315,441	11,451
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	59,014	58,300	58,300	55,505	(2,795)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-		361,560	361,560
სოციალური უზრუნველყოფა	-	32,345	32,345	32,160	32,160	32,160	-
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	32,345	32,345	32,160	32,160	32,160	-
ფულადი ფორმით	-	-	32,345	32,160	32,160	32,160	-
სხვა ხარჯები	-	38,500	38,124	38,124	38,124	38,124	-
სხვადასხვა ხარჯები	-	38,500	38,124	38,124	38,124	38,124	-
მიმდინარე	-	38,500	38,124	38,124	38,124	38,124	-

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	93,000	464,500	464,304	463,724	463,724
ძირითადი აქტივები	-	-	464,304	463,724	463,724
შენობა-ნაგებობები	-	-	9,263	9,263	9,263
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	9,263	9,263	9,263
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	445,666	445,086	445,086
სატრანსპორტო საშუალებები	-	-	246,274	246,274	246,274
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	199,392	198,812	198,812
სხვა ძირითადი აქტივები	-	-	9,375	9,375	9,375
არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	9,375	9,375	9,375

ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ვალდებულებები	-	745	744	744	744
საშინაო	-	745	744	744	744
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	-	-	-	-	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	745	744	744	744

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

წმინდა ღირებულება 01.01.2013	12,633,157
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(2,937,850)
საქონელი და მომსახურება	(1,129,033)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(361,560)
სოციალური უზრუნველყოფა	(32,160)
სხვა ხარჯები	(38,123)
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	(1,229,231)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(5,156)
სულ სადებეტო ბრუნვა 2013	(5,733,113)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	4,625,461
შემოსავლები	118,524
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	13,253
სხვა ეკონომიკური ნაკადები	2,351
სულ საკრედიტო ბრუნვა 2013	4,759,589
წმინდა ღირებულების ცვლილება 2013	(973,524)
წმინდა ღირებულება 31.12.2013	11,659,633

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 01.01.2013	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტ ერით	მიღება				გასვლა						ნაშთი 31.12.2013
				იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	სხვა შემოსავ ლებით	სხვა ეკონომიკუ რი ნაკადებით	ბარტ ერით	იმავე დონის სახელმწი ფო ერთეულე ბზე უსასყიდ ლოდ	სხვა ეკონომ იკური ნაკადებ ით	ძირითა დი კაპიტა ლის მოხმარ ება	საქონე ლი და მომსახ ურები თ	სხვა გასვლ ები		
მატერიალური მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები	64,156	310,758	-	-	4,368	-	-	-	-	-	-	316,320	-	62,962
ფულადი დოკუმენტები	19,904	43,780	-	-	4,368	-	-	-	-	-	-	45,262	-	22,790
სათადარიგო ნაწილები	-	19,960	-	-	-	-	-	-	-	-	-	19,260	-	700
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	44,252	247,018	-	-	-	-	-	-	-	-	-	251,799	-	39,472
სულ მატერიალური მარაგები	64,156	310,758	-	-	4,368	-	-	-	-	-	-	316,320	-	62,962
ძირითადი აქტივები														
შენობა-ნაგებობები	10,052,178	1,096	-	-	-	-	-	471,496	-	99,789	-	-	-	9,481,989
არასაცხოვრებელი შენობები	10,052,178	1,096	-	-	-	-	-	471,496	-	99,789	-	-	-	9,481,989
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,078,412	392,386	8,000	13,253	114,156	-	8,000	-	5,156	257,221	-	-	-	1,335,830
სატრანსპორტო საშუალებები	730,579	246,274	8,000	-	114,156	-	8,000	-	5,156	152,905	-	-	-	932,948
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	347,833	146,112	-	13,253	-	-	-	-	-	104,317	-	-	-	402,882
სხვა ძირითადი აქტივები	21,628	9,375	-	-	-	-	-	-	-	4,551	-	-	-	26,452
არამატერიალური ძირითადი აქტივები	21,628	9,375	-	-	-	-	-	-	-	4,551	-	-	-	26,452
სულ ძირითადი აქტივები	11,152,217	402,857	8,000	13,253	114,156	-	8,000	471,496	5,156	361,561	-	-	-	10,844,271
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	17,405	40,468	-	-	-	-	2,351	-	-	-	-	-	31,247	28,977
არაწარმოებული აქტივები														
მიწა	1,400,122	-	-	-	-	-	-	757,735	-	-	-	-	-	642,387
სულ არაწარმოებული აქტივები	1,400,122	-	-	-	-	-	-	757,735	-	-	-	-	-	642,387

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტური)			
			შემენა		სხვა სახით მიღება		სხვა სახით გასული		სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
	რაოდ	ღირებულება	რაოდ	ღირებულება	რაოდ	ღირებულება	რაოდ	ღირებულება								
სატრანსპორტო საშუალება სულ:	22	730,579	8	246,134	3	122,296	2	8,000	280,491	61,638	198,893	19,960	291,691	61,638	210,794	19,260
მათ შორის მსუბუქი	10	187,591	6	139,089			2	8,000	63,607	11,545	47,582	4,480	66,454	11,545	50,429	4,480
ჯიპები და პიკაპები	11	516,233	2	107,045	3	122,296			214,081	49,283	149,318	15,480	222,315	49,283	158,253	14,780
სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	1	26,755							2,803	810	1,993		2,922	810	2,112	